1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (100) თებერვალი 1960 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1959 წლის მუშაობის შედეგების შესახებ.
2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხებზე საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებულის გამოცემის შესახებ
3. ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ა. ნ. ჩიჩუას გაწვევის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.
6. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის სასოფლო საბჭოდან სოფელ სვობოდნოეს გამოყოფისა და მისი მიკუთვნების შესახებ ცოდნისკარის სასოფლო საბჭოზე.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება ი. დ. ბერიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
9. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

80-75

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1959 წლის მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1959 წლის სტატისტიკური ანგარიშების განხილვის საფუძველზე აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან. ისინი ღრმად წვდებიან სახალხო მეურნეობის (ალკეული დარგების-განვითარების საკითხებს. პერიოდულად იხილავენ საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობას და ატარებენ ღონისძიებებს დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიები ძირითადად ტარდება კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. გაუმჯობესდა საბჭოების აღმასკომების მიერ ანგარიშების ჩაბარება, 1959 წელს აღმასკომების 91,5 პროცენტმა ჩააბარა ანგარიშები საბჭოებს. სათანადო მუშაობას ეწეოდნენ საბჭოებთან შექმნილი მუდმივი კომისიები. თუ 1959 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებთან ითვლებოდა 4897 მუდმივი კომისია და მათში გაერთიანებული იყო 25.125 დეპუტატი და 36.586 აქტივისტი, 1960 წლის 1 იანვრისათვის ითვლება 5.152 კომისია, რომლებშიც გაერთიანებულია 31.810 დეპუტატი და 40.299 აქტივისტი მოწინავე კოლმეურნეების, მუშების და ინტელიგენციის რიცხვიდან. საანგარიშო პერიოდში საბჭოების მუდმივი კომისიების მიერ სესიების და აღმასკომების სხდომებზე გაკეთებული 14.734 თანამოხსენება. მუდმივი კომისიების უმრავლესობამ ჩააბარა ანგარიშები საბჭოებს. კომისიები სისტემატურად ეხმარებიან აღმასკომებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებაში. თელავის რაისაბჭოს გამწვანების და ტყის გაშენების მუდმივი კომისიის ინიციატივით და მოსახლეობის მონაწილეობით რაიონის გზის პირებზე, სკვერებში და ბაღებში გაშენდა მარადმწვანე მცენარეები და დაირგო 100.000-ზე მეტი ნარგავი.

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის სასოფლო საბჭოს საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიის ინიციატივით მოეწყო შაბათობა, შეკეთებული იქნა ადგილობრივი გზები და გაკეთდა 2 ახალი ხიდი მდინარე სკიაზე.

გაუმჯობესდა ამომრჩეველთათვის დეპუტატების ანგარიშების ჩაბარება. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების 80,2 პროცენტს, მათ შორის სასოფლო საბჭოების დეპუტატების 85,7 პროცენტს, ჩაბარებული აქვს ანგარიშები ამომრჩევლებისათვის. დეპუტატების 98—100 პროცენტს ჩაბარებული აქვს ანგარიშები ასპინძის, ლანჩხუთის, საჩხერის, ახალციხისა და

ცხაკაიას რაიონებში. საბჭოები, მათი აღმასკომები და დეპუტატები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. ამომრჩეველთა მოთხოვნით და ყვარლის რაისაბჭოს დეპუტატის ნ. ხატიაშვილის თაოსნობით ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებული იქნა სოფელი საბუე. ასპინძის რაისაბჭოს დეპუტატ მ. გიგაშვილის ინიციატივით და რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით მდინარე ოშორაზე გაკეთდა ახალი ხიდი. ახალციხის რაისაბჭოს დეპუტატ გ. კაპანაძის თაოსნობით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით კეთილმოწყობილი იქნა ქ. ახალციხეში ჯავახიშვილის ქუჩა, რამაც საქალაქო საბჭოს 35.000 მანეთის ეკონომია მისცა. ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის სასოფლო საბჭოს დეპუტატების ვ. გოგელიას და მ. კუბეყმაძის ინიციატივით მთლიანად ელექტროფიცირებული იქნა სოფელი ორმეთი და ამავე სოფელში აგებული იქნა დაწყებითი სკოლის კაპიტალური შენობა.

მასებთან საბჭოების კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით ახალციხის რაისაბჭომ მოაწყო აღმასკომის განყოფილებების და ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ანგარიშების ჩაბარება მოსახლეობისათვის, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. საანგარიშო კრებებზე მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, კრიტიკულად განიხილეს ანგარიშები, გამოააშკარავეს მთელი რიგი ნაკლოვანებები და შეიტანეს მრავალი წინადადება.

შესამჩნევად გაძლიერდა საბჭოების როლი საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში. ამ მიზნით რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებთან შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების დაცვის 97 მუდმივი კომისია.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობაში საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს. ლაგოდეხის, ყაზბეგის, წალკის რაისაბჭოებმა და ახალქალაქის, ტყიბულის და წულუკიძის საქალაქო საბჭოებმა გასულ წელს დაარღვიეს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები, რომლებმაც ჩაატარეს 4—4 სესია, ნაცვლად ექვსისა. სესიების მოწვევის ვადები დაარღვიეს აგრეთვე ბოლნისის, გურჯაანის, ზუგდიდის, ლენტეხის, წალენჯიხის რაისაბჭოებმა და სამგორის რაიონის 17 სასოფლო საბჭოდან 8 სასოფლო საბჭომ, მარნეულის რაიონის 12-დან 8, ყაზბეგის 6-დან 4, ხოლო ხაშურის რაიონის 12 სასოფლო საბჭოდან 6 სასოფლო საბჭომ.

საბჭოებისათვის ანგარიშები არ ჩაუბარებია ახმეტის, ბოგდანოვკის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, მარნეულის, წალენჯიხის რაიაღმასკომებს, ქობულეთის, სტალინირის, სოხუმის, ტყვარჩელის, ახალქალაქის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, აბაშის, წითელწყაროს სადაბო და საგარეჯოს, სიღნაღის და საჩხერის რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს ამომრჩევლებისათვის დეპუტატების მიერ ანგარიშების ჩაბარების საქმეში, საანგარიშო პერიოდში ბათუმის საქალაქო, ქ. თბილისის კიროვის რაისაბჭოს, გუდაუთის რაიონის ახალი აფონის სადაბო და წითელწყაროს რაიონის წითელი სანბათლოს სასოფლო საბ-

ჭოების არცერთ დეპუტატს თავისი ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუტარებია, ხოლო ახალქალაქის რაისაბჭოს 77 დეპუტატიდან ანგარიშები ჩაუტარებია მხოლოდ 15 დეპუტატმა, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს 213 დეპუტატიდან 8 დეპუტატმა, სტალინის რაისაბჭოს 163-დან 20, ოქტომბრის რაისაბჭოს 178-დან 38, თბილისის საქალაქო საბჭოს 472-დან 50 და ზუგდიდის საქალაქო საბჭოს 100-დან 25 დეპუტატმა და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა თიანეთის, ლენტეხისა და ყაზბეგის რაიონების სასოფლო საბჭოებში.

მარნეულის, ბოგდანოვკისა და ზესტაფონის რაისაბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში არ არის ჩაბმული მოსახლეობის აქტივი. არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ ბოლნისის, თიანეთის, მესტიისა და დმანისის, რაიონების სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები არ ამზადებენ საკითხებს სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის, იშვიათად გამოდიან თანამოხსენებებით, ხოლო ზესტაფონის რაიონის შორაპნის სადაბო საბჭოს ხუთივე მუდმივი კომისია უმოქმედობს. მუდმივი კომისიების ანგარიშები სესიებზე არა აქვთ მოსმენილი ბორჯომის, გეგეჭკორისა და დმანისის რაისაბჭოებს, ამბროლაურისა და შორაპნის სადაბო და დუშეთის რაიონის სასოფლო საბჭოებს. აღმასრულებელი კომიტეტები მუდმივ კომისიებს ნაკლებად აცნობენ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს, არ ატარებენ სემინარებს და საუბრებს საბჭოების მუშაობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე საბჭოების სესიებზე აღმასკომების განყოფილებების ანგარიშების მოსმენის საქმეს.

ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ჯერ კიდევ არღვევს კანონის მოთხოვნას გასული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ჩატარების შესახებ. ადგილობრივი საბჭოებიდან გასულია 721 დეპუტატი, მაგრამ არჩევნები ჩატარებულია მხოლოდ 7 საარჩევნო ოლქში. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სასოფლო საბჭოებიდან გავიდა 32 დეპუტატი, გორის რაიონის სასოფლო საბჭოებიდან 23, ხობის — 13 ,ბოგდანოვკის—19, მაგრამ რაისაბჭოების აღმასკომების მიერ არც ერთი გასული დეპუტატის ნაცვლად არჩევნები არ ჩატარებულა.

გასული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ჩაუტარებლობამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთ საბჭოში აღმასკომის თავმჯდომარედ, მოადგილედ და მდივნად დაშვებულია ისეთი მუშაკი, რომელიც არ ითვლება ამავე საბჭოს დეპუტატად. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მოადგილე, აგრეთვე წულუკიძის რაიონის 4, ჩოხატაურის რაიონის—3 და ხაშურის რაიონის—2 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე არ არიან დეპუტატები.

რიგი საბჭოების აღმასკომები რეგულარულად არ ატარებენ აღმასკომის სხდომებს, სათანადოდ ვერ ამზადებენ განსახილველ საკითხებს და მათ მომზადებაში ნაკლებად იყენებენ დეპუტატებს და მუდმივ კომისიებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ რიგი საბჭოები და მათი აღმას-

კომები ყოველთვის არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

1. დაეგალოს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გაატარონ ღონისძიებანი ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისათვის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და მშრომელებთან საბჭოების კავშირის განმტკიცებაში. მიაღწიონ იმას, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა სისტემატურად იმუშაონ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებზე შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ყოველმხრივ იზრუნონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით:

ა) მტკიცედ დაიცვან საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები, სისტემატურად განიხილონ სესიების სხდომებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები და მათ მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

ბ) უზრუნველყონ, რომ აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშებს თავიანთი მუშაობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს; სისტემატურად მოახსენონ საბჭოების სესიებს წინა სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და დეპუტატების მიერ შეტანილი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობა;

გ) მტკიცედ დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების ჩაბარების შესახებ, უზრუნველყონ, რომ ყველა დეპუტატი პერიოდულად აბარებდეს ანგარიშს ამომრჩევლებს. ყოველმხრივ დაეხმარონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში, შეისწავლონ ამომრჩევლებისა და დეპუტატების კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, მიიღონ პრაქტიკული ზომები მათი განხორციელებისათვის;

დ) სისტემატურად გააცნონ მოსახლეობას დეპუტატების საშუალებით პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები, დარაზმონ დეპუტატები და მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებების შესრულებისათვის;

ე) უზრუნველყონ საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, მაქსიმალურად ჩაბან დეპუტატები და აქტივი მუდმივი კომისიების მუშაობაში, პერიოდულად მოისმინონ სესიებზე მუდმივი კომისიების ანგარიშები;

ვ) უზრუნველყონ გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი არჩევნების ჩატარება. არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებად იმ პირების არჩევა, რომლებიც მოცემული საბჭოს დეპუტატები არ არიან.

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზემდგომი ორგანოების, სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. სისტემატურად განიხილონ ამ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის;

თ) პრაქტიკაში დანერგონ საბჭოების აღმასკომების, აღმასკომის განყოფილებების და მათი ქვემდებარე წარმოება-დაწესებულებების მიერ ანგარიშგებების ჩაბარება მოსახლეობისათვის, განიხილონ მოსახლეობის მიერ საანგარიშგებო კრებებზე შეტანილი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები და მიიღონ საჭირო ზომები მათ შესასრულებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXI ყრილობის დადგენილებებით, მიიღონ გადამჭრელი ზომები შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ხელი შეუწყონ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ადგილობრივი რესურსებისა და საშუალებების გამოვლინებაში და მათ მაქსიმალურად გამოყენებაში.

3. აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ აღნიშნული დადგენილება თავიანთ სხდომებზე და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას თვალყური ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი

2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხებზე საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებულის გამოცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოიცეს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხებზე ქართულ ენაზე ტირაჟით 5000 ცალის რაოდენობით.

2. კრებულის რედაქტორად დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. დ. ჩხიკვიშვილი) გამოსცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხებზე საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებული 1960 წლის 1 მაისამდე ამ დადგენილებით გათვალისწინებული რაოდენობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას მომამზადონ ასეთივე კრებული რუსულ ენაზე 1960 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი

3. ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ა. ნ. ჩიჩუას გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გაწვეულ იქნას აპოლონ ნიკოლოზის-ძე ჩიჩუა ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან აშკარად უკანონო განაჩენის გამოტანისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის და 1959 წლის 27 ივლისის ბრძანებულებების „შრომითი დავის განხილვის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ და „სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეურნეობათა გარდა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა შორის არსებულ ყველა იმ დავის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, რომლებიც ამჟამად სასამართლოების გამგებლობას ეკუთვნის“ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გ) შრომითი დავები, რომლებსაც სახალხო სასამართლოები განიხილავენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულ „დებულებისა შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“;

2. ამ კოდექსის 295 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თ) შრომითი დავის კომისიების გადაწყვეტილებანი, აგრეთვე შრომითი დავის შესახებ პროფკავშირების, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებანი თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულ „დებულებისა შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“;

3. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**შენიშვნა 3.** სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეურნეობათა გარდა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა შორის დავებს თან მანეთამდე თანხის თაობაზე განიხილავენ მოვალის მიმართ ზემდგომი ორგანოები, ხოლო დანარჩენ დავებს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები“.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ კოდექსის 26-ე მუხლის „ზ“ პუნქტი და შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი

6. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის სასოფლო საბჭოდან სოფელ სვობოდნოეს გამოყოფისა და მისი ცოდნისკარის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის სასოფლო საბჭოს სოფელი სვობოდნოე და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ცოდნისკარის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 22 თებერვალი.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. აბაევას ფუზე ბესარიონის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ სტალინირის მეორე საბავშვო ბაღის გამგეს

2. აბულაძეს მარიამ თეოფილეს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ სტალინირის საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბაკარაძეს გიორგი ტარასის-ძეს — აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს

4. ბერეზაშვილს ირაკლი გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს

5. გოლოვკოვას მარიამ სამოელის ასულს — ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის საბავშვო დაწესებულებათა უფროს ინსპექტორს

6. გრიგორიანს ნაშხუნ სტეფანეს ასულს — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განზანის საშუალო სკოლის მასწავლებელს

7. ზახაშვილს თამარ ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს

8. თაბუკაშვილს დავით ტრიფონის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტს

9. თუმანიშვილს ვალერიან ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორს

10. კარჭაულს ნატულია მიხეილის ასულს — მაქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სკოლამდელი განათლების უმცროს მეცნიერ მუშაკს

11. ლაპიაშვილს ელისაბედ ივანეს ასულს — წითელწყაროს რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელს

12. მალანიას ოლია ანტონის ასულს — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს დაწყებითი სკოლის გამგეს

13. მახარაძეს პეტრე მაქსიმეს-ძეს — თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს

14. მუმლაძეს გრიგოლ დავითის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის საშუალო სკოლის დირექტორს

15. მუსელიანს (ონიანს) ელენე მელიტონის ასულს — ლენტეხის რაიონის სოფელ ლენტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს

16. მხეიძეს ოთარ არქიპოს-ძეს — წყალტუბოს რაიონის საშუალო სკოლის დირექტორს

17. ნიორაძეს ლეონიდე ერისტოს-ძეს — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს

18. სიჭინავას მირიან მაქსიმეს-ძეს — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. სტურუას ქეთევან მელიტონის ასულს — სამტრედიის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს

20. სურგულაძეს იპოლიტე გიგოს-ძეს — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორს

21. ქავთარაძეს ალექსანდრე ერისტოს-ძეს — გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს

22. ქუჩულორიას ქეთევან მიხეილის ასულს — ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს

23. ცანავას იროდიონ ვასილის-ძეს — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 18 თებერვალი.

8. ბრძანებულება ი. დ. ბერიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაბადებიდან სამოცდაათი წლისათვის და მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ივანე დავითის-ძე ბერიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 18 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 608 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან	—	46
ქალაქ რუსთავიდან	—	8
ქალაქ ჭიათურიდან	—	50
ქალაქ გორიდან	—	7
ქალაქ ქუთაისიდან	—	13
ქალაქ სტალინირიდან	—	8
ბოგდანოვკის რაიონიდან	—	9
გორის „	—	8
გეგეჭკორის „	—	14
გურჯაანის „	—	6
დმანისის „	—	59
დუშეთის „	—	8
ზუგდიდის „	—	17
თელავის „	—	11
თეთრიწყაროს „	—	15
კასპის „	—	18
ლაგოდეხის „	—	22
ბოლნისის „	—	125
მცხეთის „	—	7
სტალინირის „	—	34
საჩხერის „	—	14
სიღნაღის „	—	2
ტყიბულის „	—	7
ცხაკაიას „	—	7
წულუკიძის „	—	19
ხობის „	—	12
წალკის „	—	52